

საქართველო

მაკრო მიმოხილვა

გამოცემა 2



Delivering Progress

აგვისტო 2022

www.pmcsearch.org

გლობალური ტენდენციები



ეკონომიკური ზრდა



2022 წლის პირველი კვარტლის შედეგები
2022 წლის პროგნოზები

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი



ძირითადი მაჩვენებლები
საგადასახადო შემოსავლები და ხარჯები

ეკონომიკური და ბიზნეს კლიმატი



IFO ინდექსი: საქართველოს ეკონომიკური კლიმატი
BAG ინდექსი: საქართველოს ბიზნეს კლიმატი

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები



ინფლაცია და ფასები
გაცვლითი კურსი

შრომის ბაზარი



დასაქმება
ხელფასები
ვაკანსიები

საგარეო სექტორი



ვაჭრობა
ტურიზმი
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ფულადი გზავნილები

დისკუსია და რეკომენდაციები






გლობალური ეკონომიკური ტენდენციები: მზარდი გაურკვევლობა

მსოფლიო მასშტაბით გაურკვევლობას შემდეგი ფაქტორები ზრდის:

- რუსეთი-უკრაინის ომი
- COVID-19 პანდემიით გამოწვეული შეფერხებები მიწოდების ჯაჭვში, განსაკუთრებით ჩინეთში
- რეკორდულად მაღალი ინფლაცია მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკებში, განსაკუთრებით საკვებისა და ენერჯის გაზრდილი ფასების ხარჯზე
- საპროცენტო განაკვეთის გლობალური ზრდა
 - აშშ-ის ეკონომიკის სტაგფლაციისა და გლობალური რეცესიის რისკი
 - განვითარებადი ეკონომიკებიდან კაპიტალის გადინების რისკი
- COVID-19 პანდემიის ახალი ტალღის რისკი მსოფლიოს მასშტაბით
- მიმდინარე ომი, რომელსაც დასასრული ჯერ არ უჩანს, უფრო ამწვავებს უკვე არსებულ კრობლემებს.

ყველა ეს ფაქტორი ერთად, იწვევს გლობალური გაურკვევლობის ზრდას, რაც შეიძლება გამოიხატოს მსოფლიო გაურკვევლობის ინდექსით. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 პანდემიის დაწყებით გამოწვეული გაურკვევლობა ბევრად უფრო მწვავე იყო, ვიდრე ახლათ, მისი ინდექსი მეტია ან ტოლი ისეთი მოვლენების დროინდელი მაჩვენებლისა, როგორებიცაა: 9/11, 2008 წლის ფინანსური კრიზისი და ბრექსიტი. აღსანიშნავია, რომ ეს ინდექსი გლობალურია და იმის გამო, რომ ომი მიმდინარეობს საქართველოს მეზობელ ქვეყანაში, რეგიონის ამჟამინდელი გაურკვევლობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება გლობალურს.

მსოფლიოს გაურკვევლობის ინდექსი



წყარო: [World Uncertainty Index](#) - Ahir, Bloom and Furceri (2022); the [IMF](#) (2022)




Research



ეკონომიკური ზრდა: 2022 წლის პირველი ნახევრის შედეგები

ეკონომიკის ზრდის წინასწარი შეფასება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით



• მიუხედავად ამ გლობალური ტენდენციებისა და საქართველოს ეკონომიკისთვის სხვადასხვა არსებიდან მომდინარე საფრთხეებისა, საქსტატის წინასწარი შეფასებით, საქართველოს ეკონომიკამ 2022 წლის პირველ ნახევარში მაღალი (10.5%) ზრდა აჩვენა. ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა წლის პირველ თვეში, იანვარში (18.0% 2021 წლის იანვართან შედარებით). მიმდინარე წლის თითქმის ყველა სხვა თვეც (აპრილისა და ივნისის გარდა) ასევე ორნიშნა ზრდით გამოირჩა.

• თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი ზრდა ნაწილობრივ შეიძლება უკავშირდებოდეს დაბალ საბაზო ეფექტს, რადგან 2021 წლის პირველ ორ თვეში, ქვეყანაში პანდემიასთან დაკავშირებული ეკონომიკური შეზღუდვების გარკვეული რაოდენობა მოქმედებდა.

• ჩვენ ვთვლით, რომ ამ ზრდის დიდი ნაწილი უკავშირდება ერთჯერადი გარე ფაქტორების ერთობლიობას, რომელთა უმეტესობა რუსეთ-უკრაინის ომით არის გამოწვეული.



Research



ეკონომიკური ზრდა: 2022 წლის პირველი კვარტლის შედეგები

შერჩეული სექტორები	ნომინალური მშპ (მილიონი ლარი)	მშპ-ს ზრდა		
	I კვ. 2022	I კვ. 2022/ I კვ. 2021	I კვ. 2022/ I კვ. 2020	I კვ. 2022/ I კვ. 2019
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	752.7	70.3%	-14.9%	-16.4%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	183.3	29.1%	-17.8%	-28.5%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	900.3	47.9%	12.2%	33.5%
მშენებლობა	2477.0	7.3%	-16.4%	-1.7%
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირების ჰაერის მიწოდება	760.2	54.7%	40.2%	31.2%
სამთომშპოვებითი მრეწველობა	467.3	24.9%	85.2%	109.7%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	743.3	21.1%	43.1%	54.2%
ტრანსპორტი და დასაწყობება	1659.3	29.4%	21.8%	21.8%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	160.7	24.4%	54.6%	37.6%

• 2022 წლის მეორე კვარტალში ზოგიერთმა სექტორმა მნიშვნელოვანი ზრდა აჩვენა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამ სექტორთა ნაწილი საგრძნობლად დაზარალდა პანდემიით გამოწვეული შემლუღების შედეგად, თუმცა, **ტრანსპორტისა და დასაწყობების** სექტორმა მაღალი ზრდა აჩვენა წინა წლის შესაბამის პერიოდთან (29.4%) და ასევე, 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებითაც (21.8%). მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა **ხელოვნების, გართობისა და დასვენების** სექტორშიც: 47.9% 2021 წლის პირველ კვარტალთან და 37.6% 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

• წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მაღალი ზრდა აჩვენა **ტურიზმთან** დაკავშირებულმა სხვა სექტორებმაც - **განთავსებისა და კვების სექტორი** 70.3%-ით, **ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების სექტორი** კი 29.1%-ით გაიზარდა. თუმცა, ამ სექტორებს ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ პანდემიამდელი ნიშნულისთვის - 2019 წლის პირველ კვარტალის მაჩვენებლებს ორივე სექტორი შესაბამისად - 16.4% და 28.5%-ით ჩამორჩება.

• საინტერესოა, რომ 2022 წლის I კვარტალში **ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირების ჰაერის მიწოდების** სექტორის ზრდა შეიძლება აიხსნას ახალაშენებული „გარდაბნის თბოელექტროსადგურ 2“-ით, რომელიც ქართული ელექტრო ნარმოების სისტემას 2021 წლის იანვარში შეუერთდა და თანდათანობით გაზრდილი ნარმოების ხარჯზე, 2022 წლის პირველ კვარტალში 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 31%-ით მეტი ელექტროენერჯია გამოიმუშავა.

• **მშენებლობის სექტორში, რომელზეც ზეგავლენა იქონია რუსეთ-უკრაინის ომმა**, 2022 წლის პირველ კვარტალში დაბალი ზრდა დაფიქსირდა (7.3% წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით), ვინაიდან ომი კვარტლის ბოლოს დაიწყო. 2020 წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელს კი მშენებლობის სექტორი 16.4%-ით, ხოლო პანდემიამდელ პერიოდისას 1.7%-ით ჩამოუვარდება.





ეკონომიკური ზრდა საქართველოში: მოლოდინები 2022 წლისთვის

რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზები საქართველოში 2022

ორგანიზაცია	ომის დაწყებამდე	ომის დაწყების პერიოდში	ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში
ADB	6.5%	3.5%	-
EBRD	5.5%	2.0%	3.5%
IMF	5.8%	3.2%	
საქართველოს მთავრობა, საბაზო	6.0%	-	6.0%
საქართველოს მთავრობა, პესიმისტური	4.1%	-	4.1%
საქართველოს მთავრობა, ოპტიმისტური	6.3%	-	6.3%
World Bank	5.5%	2.5%	5.5%
ეროვნული ბანკი საბაზო	5.0%	-	4.5%
ეროვნული ბანკი ალტერნატიული	6.0%	-	2.0%
თიბისი კაპიტალი	5.5-6.0%	3.5-4.0%	12.2%
გალტ & ტაგარტი	5.0%	3.0%	7.6%
საქართველოს ეკონომიკური კლიმატის შეფასება	8.6%	4.9%	6.1%

• სწრაფად ცვალებადი გლობალური და ასევე ადგილობრივი ტენდენციების შედეგად წარმოქმნილი გაურკვევლობით იხსნება შესამჩნევი განსხვავებები ქართული და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ გამოქვეყნებულ ეკონომიკური ზრდის პროგნოზებს შორის, რის შედეგადაც, 2022 წლისთვის საქართველოში მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზები 2.0%-დან 12.2%-მდე მერყეობს.

• ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება ერთი და იმავე ინსტიტუტების მიერ რამდენიმე თვის შუალედით გამოქვეყნებულ პროგნოზებს შორის. ამჟამად, გაურკვევლობის მთავარ მიზეზს საქართველოზე რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის შეფასება წარმოადგენს.

• მაგალითად, ომის დაწყებამდე მსოფლიო ბანკი 2022 წელს საქართველოში მშპ-ს 5.5%-იან ზრდას პროგნოზირებდა. ომის დაწყებისას პროგნოზი 2.5%-მდე შემცირდა, რადგან მსოფლიო ბანკი ომის გამო ტურიზმის, ვაჭრობისა და ფულადი გზავნილების შემცირებას პროგნოზირებდა. თუმცა ვინაიდან 2022 წლის I კვარტალში ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა მოლოდინებს გადააჭარბა, მსოფლიო ბანკმა პროგნოზი ისევ 5.5%-მდე გაზარდა.






2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი: ძირითადი მაჩვენებლები

ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით

■ 2022 წლის პროგნოზი, 2021 დეკემბერი*



- 2022 წლის ივნისში, ფინანსთა სამინისტრომ 2022 წლის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები განაახლა. აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ უცვლელად დატოვა რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზი (6.0%). თუმცა, საშუალო ინფლაციის პროგნოზი გაორმაგდა და 4.5%-დან 9.1%-მდე გაიზარდა.
- 2022 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის 100.3%-ი შესრულდა. აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადიდან შემოსულმა საბიუჯეტო შემოსავალმა 24.2%-ით გადააჭარბა 6 თვის საწყის გეგმას, ხოლო იმპორტის გადასახადისამ კი 33.4%-ით.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




Research



BAG ინდექსი: საქართველოს ბიზნეს კლიმატი


BAG ბიზნეს კლიმატი



- 2021 წლის მესამე კვარტლის შემდეგ, გამოკითხული ბიზნესები **პოზიტიურად აფასებდნენ** მიმდინარე მდგომარეობასა და მოლოდინებს მომდევნო კვარტლისთვის. უკრაინაში მიმდინარე ომის მიუხედავად, ბიზნესის მოლოდინები კვლავ პოზიტიურია და 2022 წლის მეორე კვარტალში პანდემიამდელ ნიშნულებს უტოლდება.
- სექტორებს შორის, 2022 წლის მეორე კვარტალში, **ვაჭრობის** სექტორისთვის გაუმჯობესდა როგორც მიმდინარე მდგომარეობა, ისე - მოლოდინი. მიმდინარე ბიზნეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა **მრეწველობის** სექტორში - 2021 წლის დასაწყისიდან პირველად დაფიქსირდა ნეგატიური შეფასება. რაც შეეხება **მომსახურებისა** და **მშენებლობის** სექტორებს, მიმდინარე მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული, თუმცა მოლოდინი ოდნავ გაუარესდა.




Research



საქართველოს ეკონომიკური კლიმატი

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი




- მიუხედავად რუსეთ-უკრაინის ომისა, ქართული ბიზნესების მსგავსად, ქართველი ეკონომისტები დადებითად აფასებენ ეკონომიკურ კლიმატს 2022 წლის მეორე კვარტალში.
- ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის თანახმად, 2022 წლის მეორე კვარტალში ქვეყანაში ეკონომიკური კლიმატი **მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა** როგორც 2022 წლის პირველ კვარტალთან, ასევე 2021 წლის მეორე კვარტალთან შედარებით.





ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები: ინფლაცია

სამომხმარებლო კალათის კატეგორიების კონტრიბუცია ყოველთვიურ წლიდან წლამდე ინფლაციის მაჩვენებელში, პროცენტული პუნქტი



- გასული 12 თვის განმავლობაში, **ორნიშნა** წლიდან წლამდე ინფლაცია ფიქსირდებოდა, რომელმაც მაქსიმუმს, **13.9%-ს**, 2022 წლის იანვარში მიაღწია.
- ინფლაციის ზრდის საპასუხოდ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წლის განმავლობაში რამდენჯერმე გაზარდა მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი (იანვარში **8.0%-დან** დეკემბერში **10.5%-მდე**). გლობალური ეკონომიკური მოკვების საპასუხოდ, 2022 წლის მარტში ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი **11%-მდე** გაზარდა.




Research



ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები: ინფლაცია

სამომხმარებლო კალათის კატეგორიების კონტრიბუცია საშუალო ყოველთვიურ YoY ინფლაციაში მოცემული წლის პირველ ნახევარში პროცენტული პუნქტი, (2017-2021)




- 2022 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში, პროდუქტებს შორის საშუალო წლიური ფასების ზრდა განსაკუთრებით მაღალი იყო **დიზელის საწვავისთვის** (საშუალოდ 43%-იანი ფასის ზრდა), **ბენზინისთვის** (36%), **ელექტროობისა** (31%) და **ბუნებრივი აირის** (30%) გადასახადისთვის. ამას გარდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები **ხორბლის პურზე** (28%), **ხორბლის ფქვილსა** (27%) და **მწესუმწირის ზეთზე** (21%), რაც თანხვედრაშია რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეულ გლობალურ ტენდენციებთან.




BAG ინდექსი: ფასების მოლოდინები


ვაჭრობის სექტორი




მომსახურების სექტორი



მრეწველობის სექტორი



მშენებლობის სექტორი



- სექტორებს შორის, პროდუქციის/მომსახურების ფასების ზრდის მოლოდინი 2022 წლის მესამე კვარტალში ყველაზე მაღალია **მშენებლობის სექტორში** სხვა სექტორებთან შედარებით, სადაც გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობა ფასების ზრდას მოელოდა.
- მშენებლობის სექტორის კომპანიების მოლოდინები თანხვედრაშია მშენებლობის სტაბილურად და მკვეთრად მზარდ ხარჯებთან. **მზარდი სამშენებლო ხარჯები** უკვე აისახა საცხოვრებლის ფასების ზრდაზე და მოსალოდნელია, რომ შემდგომ თვეებში მეტად გაიზრდება.


* მოლოდინი




Research



მთავარი მაკროეკონომიკური ინდიკატორები: გაცვლითი კურსი




- BAG ინდექსის კვლევის შედეგების თანახმად, 2021 წლის მეოთხე კვარტალიდან იზრდება წილი იმ კომპანიებისა, რომლებიც ვალუტის გამყარებას მოუწიან მომდევნო კვარტალში.





შრომის ბაზარი: დასაქმება

შრომის ბაზრის მაჩვენებლები



- 2022 წლის პირველ კვარტალში, 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით სამუშაო ძალის მაჩვენებელი **3%-ით გაიზარდა**, ხოლო სამუშაო ძალის მიღმა მყოფი მოსახლეობა **3%-ით შემცირდა**.
- 2022 წლის პირველ კვარტალში 2021 წლის მესამე კვარტალთან შედარებით სამუშაო ძალა **101.3 ათასი** ადამიანით შემცირდა.



ათასი ადამიანი	Q1 2021	Q2 2021	Q3 2021	Q4 2021	Q1 2022
სამუშაო ძალა	1447.2	1559.1	1592.0	1536.1	1490.7
დასაქმებული	1129.7	1214.6	1281.2	1244.2	1201.1
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1547.6	1472.9	1421.0	1465.1	1496.3
დაუსაქმებელი	317.5	344.6	310.8	291.9	289.6





შრომითი ბაზარი: დასაქმება

BAG დასაქმების ბარომეტრი



- 2022 წლის პირველ ნახევარში BAG დასაქმების ბარომეტრმა საშუალოდ 26.3 ქულა აჩვენა, რაც 6.7 ქულით მეტია 2021 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე.
- 2020 წლის პირველ ნახევარში, ყველაზე მაღალი საშუალო ქულა დაფიქსირდა მრეწველობის (34.7), ყველაზე დაბალი კი - მომსახურების (17.6) სექტორში.


¹BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მფლობელის მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ. კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „შზარდი“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - „შზარდი“-სა და „კლებადი“-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შენონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.





შრომის ბაზარი: ხელფასები

ადამიანთა საშუალო რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს



- 2022 წლის პირველი ნახევარში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ **600 ლარამდე** თვიურ ხელფასს, საშუალოდ **22.9%-ს** შეადგენდა, ხოლო **2400 ლარზე მეტი** თვიური ხელფასის მიმღებთა წილი კი - **16%**.
- 2022 წლის პირველი ნახევარში, ხელფასის მიმღებთა საშუალო რაოდენობა 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, **47 ათასით** გაიზარდა.

* 0-600 ლარისა და 601-1200 ლარის მიმღებ პირთა წილის კლება 2021 წლის მეოთხე კვარტალში, სავარაუდოდ გამოწვეული იყო დეკემბერში მე-13 ხელფასის მიმღებ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობით.

** შემოსავლების სამსახურის მონაცემები არ არის საბოლოო და შეიძლება მცირედით გაიზარდოს (ბოლოს ნანახია 18.07.2022).




Research



შრომის ბაზარი: ვაკანსიები

Jobs.ge-ს პლატფორმაზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა იან - ივნ, 2020-2022




- BAG დასაქმების ბარომეტრმა და ხელფასის მიმღებთა გაზრდილმა რაოდენობამ, 2022 წლის პირველ ნახევარში შრომის ბაზარზე მაღალი მოთხოვნა აჩვენა. შესაბამისად, კომპიუტერი ცვლილებები აისახა [Jobs.ge-ზე](https://www.jobs.ge) გამოქვეყნებულ ვაკანსიებზეც. 2022 წლის პირველ ნახევარში, 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მათი რაოდენობა **51%-ით** გაიზარდა.



შრომის ბაზარი: ხელფასები

ნომინალური ხელფასები და ხელფასები ინფლაციის გათვალისწინებით




- ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების დონის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია ინფლაციის გათვალისწინებით გაანგარიშებულ ხელფასებზე დაკვირვება.
- საქართველოში 2015 წლიდან 2021 წლამდე ანაზღაურებად დასაქმებულთა ნომინალური ხელფასები 50.7%-ით გაიზარდა. თუმცა ინფლაციის გათვალისწინებით, იმავე პერიოდში ხელფასების ზრდამ მხოლოდ 12.2% შეადგინა.
- აღსანიშნავია, რომ მშპ-ს რეალური ზრდა 2015-იდან 2021 წლამდე შეადგენდა 22.4%-ს, რაც 10 პროცენტული ერთეულით აღემატება ინფლაციის გათვალისწინებით გაანგარიშებული ხელფასების ზრდას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა პროპორციულად არ აისახება მუშახელის ხელფასებზე.



საგარეო სექტორი: ვაჭრობა


საქართველოს ექსპორტ-იმპორტი და მათი ზრდის ტემპი YoY
(6 თვე 2018 – 6 თვე 2022)



- 2022 წლის პირველ ნახევარში საქართველოს **საგარეო სავაჭრო ბრუნვამ** 8.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც **35.4%-ით** აღემატება 2021 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.
- 2022 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს მთლიანმა **ექსპორტმა** 2.6 მილიარდი შეადგინა, რაც **35.6%-ით მეტია** გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საქართველოს მთლიანმა **იმპორტმა** 5.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც **35.3%-ით მეტია** 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.
- 2022 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს **სავაჭრო დეფიციტი** 0.87 მილიარდი აშშ დოლარით (35.0%) გაიზარდა 2021 წლის პირველ ნახევართან შედარებით.



საგარეო სექტორი: ვაჭრობა



- 2022 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში, 2021 წლის იანვარ-ივნისის პერიოდთან შედარებით, გაიზარდა საქართველოს **სავაჭრო ბრუნვა** ევროკავშირთან (31.7%), რუსეთთან (31.8%) და ჩინეთთან (41.3%).
- 2022 წლის პირველ ნახევარში საქართველოს **მთავარი ბილატერული სავაჭრო პარტნიორები** იყვნენ თურქეთი (15.3%), **რუსეთი** (11.4%) და ჩინეთი (10.9%).
- **ძირითადი ბილატერული საექსპორტო პარტნიორები** იყვნენ ჩინეთი (15.6%), აზერბაიჯანი (11.2%) და რუსეთი (10.0%). გარდა ამისა, **იმპორტის ძირითადი ბილატერული პარტნიორები** იყვნენ თურქეთი (17.6%), რუსეთი (11.9%) და ჩინეთი (8.8%).





საგარეო სექტორი: ვაჭრობა

- 2022 წლის იანვარ-ივნისში **ძირითადი ექსპორტირებული საქონელი** გახლდათ სპილენძი (20.8%), ფეროშენადნობები (11.8%), მსუბუქი ავტომობილები (10.5%) და სასუქები (6.5%).

შერჩეული სწრაფად მზარდი ექსპორტირებული საქონლის ზრდა (YoY) იანვარ-ივნისი, 2022

საქონელი	თანხობრივი ზრდა	რაოდენობრივი ზრდა	2021 ქვეყნების წილი	2022 ქვეყნების წილი
რაფინირებული სპილენძი	1272%	757%	ჩინეთი 81%, ნორვეგია 19%	თურქეთი 100%
ელექტროენერჯია	304%	-	თურქეთი 56%, სომხეთი 38%, აზერბაიჯანი 6%	თურქეთი 92%, სომხეთი 7%, აზერბაიჯანი 1%
ფეროშენადნობები	98%	11%	რუსეთი 38%, აშშ 31%, თურქეთი 12%, სხვა 19%	აშშ 46%, რუსეთი 28%, თურქეთი 12%, სხვა 14%
ძვირფასი ლითონის მადნები	99%	188%	ჩინეთი 100%	ჩინეთი 93%, ბულგარეთი 7%
სპილენძი	36%	4%	ჩინეთი 60%, ბულგარეთი 31%, ესპანეთი 9%	ჩინეთი 59%, ბულგარეთი 40%, კორეა, რესპუბლიკა (1%)
პოლიაცეტალები	7134%	7288%	სომხეთი 99%, აზერბაიჯანი 1%	ყაზახეთი 81%, სომხეთი 7%, კვიპროსი 6%, ბულგარეთი 5%, სხვა 1%

- **ძირითადი იმპორტირებული საქონელი** 2022 წლის პირველ ნახევარში იყო მსუბუქი ავტომობილები (10.3%), ნავთობი (9.7%), სპილენძი (7.0%), ნავთობის აირები (3.9%).

შერჩეული სწრაფად მზარდი იმპორტირებული საქონლის ზრდა (YoY) იანვარ-ივნისი, 2022


საქონელი	თანხობრივი ზრდა	რაოდენობრივი ზრდა	2021 ქვეყნების წილი	2022 ქვეყნების წილი
ფეროშენადნობები	978%	416%	აზერბაიჯანი 80%, თურქეთი 20%	უკრაინა 39%, ნიდერლანდები 28%, სხვა 33%
ხორბლის ფქვილი	1200%	918%	რუსეთი 95%, სხვა 5%	რუსეთი 98%, სხვა 2%
დამუშავებული მარცვლოვანების მარცვალი	554%	1505%	რუსეთი 94%, თურქეთი 2%, სხვა 4%	რუსეთი 98%, სხვა 2%
მანგანუმის მადნები და კონცენტრატები	210%	179%	გაბონი 75%, თურქეთი 12%, შვეიცარია 11%, სხვა 2%	გაბონი 97%, თურქეთი 3%
მარგარინი	207%	139%	რუსეთი 27%, უკრაინა 23%, თურქეთი 23%, სხვა 27%	რუსეთი 70%, თურქეთი 11%, უკრაინა 7%, სხვა 12%





საგარეო სექტორი: ტურიზმი

შიდა და საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა და მათი შედარება 2019 წლის შესაბამის პერიოდთან




- საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის აღდგენა ეტაპობრივია და ჯერ კიდევ არ არის დაბრუნებული პანდემიამდელ მაჩვენებელს.
- 2022 წლის პირველ ნახევარში საერთაშორისო ვიზიტების მთავარი წყარო საქართველოს მემობელი ქვეყნები იყვნენ და ვიზიტების 53-ს შეადგენდნენ. ამას გარდა, ვიზიტების რაოდენობის მიხედვით გამოიკვეთა ისრაელი, უკრაინა, ყაზახეთი, ბელარუსი, ირანი და საუდის არაბეთი.
- ამას გარდა, ადგილობრივმა ვიზიტებმა პანდემიამდელ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა და მოსალოდნელია, რომ ეს ტენდენცია მომდევნო თვეებშიც გაგრძელდება.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია



საგარეო სექტორი: ტურიზმი

საქართველოში რუსების, ბელარუსებისა და უკრაინელების შემოსვლებისა და გასვლების რაოდენობა (მარტი-ივნისი 2022)




- უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საზღვრის კვეთის სტატისტიკაში გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავებები რუსი, ბელარუსი და უკრაინელი ვიზიტორების შემოსვლებისა და გასვლების რაოდენობებში.
- 2022 წლის მარტი-ივნისის განმავლობაში, რუსების შემოსვლები დაახლოებით 101 ათასით აღემატებოდა გასვლებს, როცა უკრაინელებისთვის და ბელარუსებისთვის ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, 27 და 20 ათასია.



საგარეო სექტორი: ტურიზმი

საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი ქვეყნების მიხედვით




- საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლების ზრდის ორი ძირითადი წყარო აღნიშნულ პერიოდში **რუსეთი** და **ბელარუსი** იყო.
- ამას გარდა, 2022 წლის მაისში, წინა თვესთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა **მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები** სომხეთიდან, ევროკავშირიდან, საუდის არაბეთიდან, თურქეთიდან, ირანიდან, უკრაინიდან და აზერბაიჯანიდან.



საგარეო სექტორი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში
სექტორების მიხედვით, 2018 - I კვარტალი 2022*



• 2022 წლის I კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ **568 მლნ აშშ დოლარს** მიაღწია, რაც ისტორიულად მაღალი კვარტალური ინვესტიციის მოცულობაა საქართველოში. უფრო ზუსტად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება 2022 წლის I კვ-ში **328.8%-ით მეტი** იყო 2021 წლის I კვ.-თან შედარებით, **232.3%-ით მეტი** 2020 წლის I კვ.-თან შედარებით და **79.1%-ით მეტი** 2019 წლის I კვ.-თან შედარებით.

• 2022 წლის I კვ-ში მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების **41.6%** (236 მილიონი აშშ დოლარი) ენერგეტიკის სექტორზე მოდის, რაც **ესპანური კომპანია Aqualia-ს** მიერ განხორციელებული ინვესტიციით აიხსნება. Aqualia-ამ შეისყიდა თბილისის წყალმომარაგების კომპანია GWP-ის 80%-იანი წილი და დარჩენილი წილის შესყიდვას 2025-2026 წლებში გეგმავს. შესაბამისად, საქართველოში 2022 წლის I კვარტალში შემოსულ პირდაპირ უცხოური ინვესტიციებში ესპანეთის წილმა **34.5%** შეადგინა.

• თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას კომპონენტების მიხედვით დავაკვირდებით, 2022 წლის I კვარტალში, **რეინვესტიციის წილი (56.0%)** კვლავ აღემატება **სააქციო კაპიტალის წილს (44.1%)**. **ვალდებულებების წილი**, რომელიც მხოლოდ -0.1% იყო 2022 წლის I კვ-ში და ჩვეულებრივ ძალიან დაბალია, უჩვეულოდ მაღალი იყო 2021 წლის IV კვ-ში (43%). ეს შეიძლება უკავშირდებოდეს ბრიტანული კომპანია Entain-ის მიერ, ქართულ აზარტული თამაშების კომპანია Crystalbet-ში, განხორციელებულ ინვესტიციას.




Research



საგარეო სექტორი: ფულადი გზავნილები

ფულადი გზავნილები საქართველოში ქვეყნების მიხედვით, 2021 პირველი ნახევარი-2022 პირველი ნახევარი




- 2022 წლის პირველ ნახევარში, **ფულადი გზავნილები** 65%-ით გაიზარდა 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - **132%-ით**.
- 2022 წლის პირველ ნახევარში **რუსეთის** წილი ფულადი გზავნილებში **42%-ს** შეადგენდა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 25 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია.





საგარეო სექტორი: ფულადი გზავნილები

ფულადი გზავნილები რუსეთიდან, 6 თვე 2020 – 6 თვე 2022



- 2022 წლის პირველ ნახევარში, რუსეთიდან ფულადი გზავნილები, 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 306%-ით გაიზარდა, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 414%-ით. აღნიშნული ტენდენცია შესაძლებელია გამოწვეული იყოს შემდეგი ფაქტორებიდან:
 - რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა დაიწყეს თავიანთი დანაზოგების საქართველოში გამოგზავნა რუსეთისთვის სანქციების დაწესების შემდეგ.
 - რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა და აშშ დოლარზე შეზღუდულმა წვდომამ გამოიწვია ცვლილებები რუბლის გაცვლით კურსში. შედეგად, რუბლის ოფიციალური გაცვლითი კურსი განსხვავდება შავ ბაზარზე არსებული კურსისგან, რაც არბიტრაჟის შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, რუსეთის მოქალაქეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაიწყო საქართველოში რუბლის სახით თანხის გამოგზავნა, აშშ დოლარში გადახურდავება, გადახურდავებული დოლარის რუსეთში დაბრუნება და მოგების მიზნით შავ ბაზარზე გაყიდვა.





დისკუსია

- საქართველოს ეკონომიკა 2022 წლის პირველ ნახევარში მოსალოდნელზე ბევრად უკეთ განვითარდა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს რეგიონში ომი მიმდინარეობს. 2022 წლის პირველ 6 თვეში ეკონომიკა საშუალოდ 10.5%-ით გაიზარდა. აღნიშნული მდგრადობის ფონზე კი ბიზნესებსა და ეკონომისტებს პოზიტიური მოლოდინები ექმნებათ მომავალთან დაკავშირებით.
- თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ზრდას შეიძლება განაპირობებდეს ერთჯერადი ფაქტორების ერთობლიობა, როგორცაა:
 - დაბალი საბაზისო ეფექტი იანვარსა და თებერვალში, რაც 2021 წლის აღნიშნულ თვეებში მკაცრი შეზღუდვებით აიხსნება
 - დაბალი საბაზისო ეფექტი ტურიზმის არასრული აღდგენის გამო 2021 წელს
 - მიგრანტების მნიშვნელოვანი შემოდინება რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან
 - რუსეთიდან ფულადი გზავნილების უპრეცედენტოდ მაღალი შემოდინება
 - ერთჯერადი ტრანზაქცია, რომელიც დადებითად აისახა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე 2022 წლის I კვარტალში
 - ცალკეულ საქონელზე მოთხოვნისა და ფასების ზრდა, რაც დადებითად აისახა ექსპორტზე.
- ზრდა, რომელსაც თან ახლავს მაღალი ინფლაცია და პოზიტიური მოლოდინები, აგრეთვე მაღალი მოთხოვნა შრომის ბაზარზე, ადვილად შეიძლება აგვერიოს ეკონომიკის გადახურების მი, თუმცა, გადახურება მოიაზრებს, რომ მაღალი ინფლაცია გამონვეულია ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივი პერიოდით, რაც არ მიესადაგება ამ კონკრეტულ შემთხვევას, როცა ინფლაცია მეტწილად გარე ფაქტორებით არის განპირობებული.
- თუმცა, მაშინაც კი, თუ ამ სიტუაციას გადახურებად არ მივიჩნევთ, ასეთი ზრდა ქმნის გარკვეულ ზენოლას ეკონომიკაზე და შესაძლოა, ჰქონდეს გადახურების მსგავსი შედეგები, როგორცაა, მაგალითად, ხელფასებისა და ფასების ინფლაციური სპირალის რისკი. გარდა ამისა, გლობალური გაურკვევლობის ზრდას ხელს უწყობს მზარდი გლობალური ინფლაცია და გლობალური რეცესიის რისკი, რომელიც გამონვეულია უკრაინაში გაჭიანურებული ომის შედეგად წარმოქმნილი მიწოდების ჯაჭვის შეფერხებებითა და საქონლის ფასების სწრაფი ზრდით.
- უფრო მეტიც, საქართველოში ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, როგორცაა ინფლაცია და უმუშევრობა, მაღალი რჩება, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ რეალური ზრდა არ არის ინკლუზიური. ეს დასკვნა დასტურდება იმითაც, რომ 2015-2021 წლებში რეალური ხელფასების ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს ეკონომიკის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპებს.
- მიუხედავად იმისა, რომ ომის საერთო ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე ჯერჯერობით მართვადია, არსებობს ადამიანთა/ფირმების გარკვეული ჯგუფები, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალებულნი, მაგალითად, დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობა (საერთო ფასების ზრდის გამო), სტუდენტები (გაზრდილი ქირის ფასების გამო), ხორბლის გადამამუშავებელი ფირმები (ხორბლის იმპორტის პრობლემების გამო) და ა.შ.



რეკომენდაციები

ჩვენი რეკომენდაციები შემდეგია:

- ეკონომიკურ ზრდას ფრთხილი ოპტიმიზმით უნდა შევხედოთ და ძირითადი რისკების მატერიალიზების შემთხვევაში უნდა გვქონდეს შემუშავებული საგანგებო გეგმები.
- მიუხედავად მაღალი ინფლაციისა, ვფიქრობთ, რომ ხელფასებისა და ფასების ინფლაციური სპირალის რისკის რეალიზება ამ ეტაპზე არ არის მოსალოდნელი. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე ინფლაცია ძირითადად გარე ფაქტორებითაა გამოწვეული და 2023 წელს მოსალოდნელია გლობალური რეცესია, ვფიქრობთ, თავი უნდა შევიკავოთ ეკონომიკური ზრდის შემზღუდავი ქმედებებისგან, როგორცაა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემდგომი გამკაცრება.
- ამასობაში, შესაბამისი ორგანოები აქტიურ მონიტორინგს უნდა უწევდნენ მსგავს რისკებსა და მათი წარმოშობის ალბათობას.
- მთავრობამ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა ყველა საერთაშორისო სანქციის დასაცავად, რათა ქვეყანა არ აღმოჩნდეს რეპუტაციის შელახვისა და მეორად სანქციებში მოხვედრის რისკის წინაშე.
- ომმა საქართველოს რამდენიმე შესაძლებლობაც შეუქმნა, როგორცაა:
 - შუა დერეფნის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდა
 - კვალიფიციური მუშახელის შემოღინება, მათ შორის სპეციალისტებისა და, უფრო კონკრეტულად, IT სპეციალისტების
 - რუსეთიდან გასული საერთაშორისო კომპანიების მოზიდვის შესაძლებლობა.
- თითოეული შესაძლებლობა დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი და რაც შეიძლება მალე უნდა გადაიდგას აუცილებელი ნაბიჯები ჩვენი ქვეყნისთვის სარგებლის მოსატანად.
- უნდა მივიღოთ სასწრაფო ზომები მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე ომის გავლენის შესამცირებლად. საჭიროა ამ ადამიანებისა და ჯგუფების იდენტიფიცირება და მათი მხარდაჭერა.
- გრძელვადიან პერსპექტივაში, მთავრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე, რაც გამოხატული უნდა იყოს რეალური შემოსავლების ზრდის ტემპში.



სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში არაფერი არ წარმოადგენს ან გულისხმობს რაიმე სახის რჩევას და შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე და ცნობს შესაბამის რისკებს. PMC კვლევითი ცენტრი არ იქნება პასუხისმგებელი მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე „როგორც არის“, ყოველგვარი გამონათქვამი ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება; ან რომ
- პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევის ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამონვეული ნებისმიერი ზიანის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასთან ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესაზებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევარებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

ნიკოლოზ ბაქრაძე
უმცროსი მკვლევარი
n.bakradze@pmcginternational.com

გიორგი წულაია
უმცროსი მკვლევარი
g.tsulaia@pmcginternational.com

ანასტასია ჩხენკელი
უმცროსი მკვლევარი
a.chkhenkeli@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
უმცროსი მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org

